**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით**

**ეთიკის კომისიის**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** მ. რ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 26.06.2018

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 080/18

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ მ. ც.-ს მიმართ /სიითი №..../

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ მ. ც.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 26 ივნისს საჩივრით მომართა მ. რ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. ც.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისმა შვილმა ზ. ტ.-მ 1987 წლის 06 ნოემბერს მიიღო სამკვიდრო მოწმობა გარდაცვლილი მამის რ. ტ.-სგან, შემდეგ შეცვლილი გვარით და სახელით, ვ. რ.-მა 2013 წლის 17 იანვარს სანოტარო წესით მიიღო სამკვიდრო რომლის საფუძველზეც ვ. რ.-ის სახელზე აღირიცხა უძრავი ქონება ზესტაფონის რაიონში - საცხოვრებელი სახლი და 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ამ სახლში დროებით ცხოვრობდა მისი გარდაცვლილი მეუღლის და ნ. ტ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ნასყიდობის

ხელშეკრულების საფუძველზე შვილისგან  შეიძინა ეს ქონება 2013 წლის 15 მარტს, 12 000 აშშ დოლარად და ქონება აღირიცხა მის სახელზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2012 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა მისი მეუღლის უფროსი და – კ. ტ., რომელიც ცხოვრობდა თბილისში. მისმა შვილმა –ე. ტ.-მ, სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ, 2013 წლის 10 ივლისს მიმართა საჯარო რეესტრის სააგენტოს, როგორც დედის პირველი რიგის მემკვიდრემ. ე. ტ.-მ წარადგინა დოკუმენტაცია, მათ შორის 1996 წლის 19 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ლ. ტ. თავის შვილს კ. ტ.-ს ჩუქნიდა საცხოვრებელ სახლს ზესტაფონის რაიონში.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ე. ტ.-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს, ამ საქმეში მოსამართლემ განჩინებით ის და ვ. რ. მესამე პირებად ჩართო. მოსარჩელე ე. ტ. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურისგან ითხოვდა ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას და ქმედების განხორციელების დავალებას. მოსამართლემ ე. ტ.-ის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ვ. რ.-ის საკუთრების რეგისტრაციიდან მთლიანი ქონების ½ ნაწილში.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. ტ.-მ სარჩელით მიმარტა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მის მოთხოვნას წარმოადგენდა ვ. რ.-ის საკუთრების რეგისტრაციის საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, ვ. რ.-სა და მ. რ.-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მ. რ.-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/3 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობას. ნ. ტ.-ს სამკვიდრო მოწმობა არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ დავობდა როგორც გარდაცვლილი დედის – ლ. ტ.-ის პირველი რიგის მემკვიდრე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. ტ.-ის და ე. ტ.-ის სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლო პროცესებზე მისი და მისი შვილის - ვ. რ.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. ც..

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა მ. ც.-მა არაკვალიფიციურად აწარმოა მისი საქმე, რადგან მან არ აცნობა საქმის განმხილველ მოსამართლეებს, რომ ე. ტ., როგორც დედის – კ. ტ.-ის პირველი რიგის მემკვიდრე და ნ. ტ., როგორც დედის – ლ. ტ.-ის პირველი რიგის მემკვიდრე ერთი და იგივე ქონებას ედავებოდნენ რ.-ის ოჯახს. ის და მისი შვილი არ უნდა ყოფილიყვნენ მოპასუხეები ამ დავაში, ადვოკატმა არ უზრუნველყო, რომ ისინი ამორიცხულიყვნენ მოპასუხეთა წრიდან. ასევე მტკიცებულებათა ნაწილი მოიპოვა თავად მ. რ.-მა და არა ადვოკატმა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ლ. ტ.-ს და კ. ტ.-ს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მონაცემები მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ადვოკატმა ამ ფაქტს არ მიაქცია სათანადო ყურადღება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს უნდა გაესაჩივრებინა აღნიშნული ხელშეკრულება და ნოტარიუსის დაბარებით სასამართლოზე უნდა გარკვეულიყო, რატომ არ აჩუქა ლ. ტ.-მ შვილს 4434 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და რატომ აჩუქა მხოლოდ საცხოვრებელი ფართი. სავარაუდოდ, ლ. ტ. არ ესწრებოდა ჩუქების ხელშეკრულების შედგენას.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. ც.-მა არ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია შემდეგ გარემოებასთან დაკავშირებით: რატომ არ მოითხოვა მისი დის სიცოცხლეში ნ. ტ.-მ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და რატომ მოითხოვა მან კანონიერი გზით დედის – ლ. ტ.-ის გარდაცვალების შემდეგ სარჩელით მის მემკვიდრედ ცნობა.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ე. ტ.-მ 2013 წლის 09 დეკემბერს სასამართლოს მიმართა განცხადებით ხარვეზის შევსების თობაზე და წარადგინა მიწის მიღება–ჩაბარების სახელმწიფო აქტი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ც.-მა არ გააპროტესტა აღნიშნული ფაქტი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მ. ც. უნდა დაინტერესებულიყო იმ ფაქტით, თუ რატომ არ წარადგინა ე. ტ.-მ ეს აქტი საჯარო რეესტრის სააგენტოში, მაშინ როდესაც სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და მას თხოვდნენ წარედგინა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, ე. ტ.-ის წარმომადგენლები და ნ. ტ.-ის წარმომადგენელი ადასტურებენ, რომ სოფ.-ში 1940–1942 წლებში არსებოდა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კომლი: 1. ვ. (ა.) ი. ს.–ძე ტ. (კომლის ბოლო წევრი იყო ლ. ტ.), საიდანაც რ. ტ. ამ კომლიდან ამოწერილია 1940–1942 წლებში; 2. ი. გ.-ის–ძე ტ., სადაც 1940–1942 წლებში კომლის წევრად ჩაწერილია შვილიშვილი რ. ტ..

1.12 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2014 წლის 02 ივნისის .....-.. საარქივო ცნობის მიხედვით, ვ. ტ.-ის კომლს ერიცხება საკარმიდამო მიწა 0.15ჰა. ამავე კომლში ვ. მოხსენიებულია, როგორც „პატიმარი“. კომლის ერთადერთ წევრად 1958-63 წლებში ირიცხება ლ. პ.-ს-ას ტ..

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 19 თებერვლის .....–.. საარქივო ცნობის მიხედვით, მეორე კომლის უფროსი 1940–42 წლებში არის ი. გ.-ის–ძე ტ.. კომლი შედგება სამი წევრისგან: თვითონ ი., მეუღლე ა. და შვილიშვილი - რ. ტ.. საკარმიდამო მიწა 0.25 ჰა. ი. მოხსენიებულია, როგორც მევენახე. საჩივრის ავტორის განმარტებით, სწორედ აღნიშნული ქონება მიიღო ვ. რ.-მა, როგორც მამის მემკვიდრემ და ეს არის ქონება, რომელსაც კ. და ნ. ტ. რ.-ების ოჯახს ედავება.

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. ც.-მა არ დაიცვა მისი ოჯახის ინტერესები. ადვოკატ მ. ც.-ს კატეგორიულად უნდა მოეთხოვა ე. და ნ. ტ.-ებისთვის, თუ რატომ არ იდავეს აწ გარდაცვლილმა კ. ტ.-მ და მისმა დამ ნ. ტ.-მ მიწის მიღება–ჩაბარების აქტი №...–ით 4434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თაობაზე, რომელზეც რ.-ების ოჯახს პრეტენზია არ გააჩნდა.

1.15 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. ტ. და მისი შვილი ბ. კ. რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში. ადვოკატს მათი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის ფაქტი უნდა გაესაჩივრებინა, თუმცა მ. ც.-მა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია. საჩივრის ავტორი განმარტავს, ამ ფაქტზე თავად მიმართა სააგენტოს და მისი მიმართვის შედეგად ნ. ტ. ამოირიცხა სოციალურად დაუცველთა მონაცემების ერთიანი ბაზიდან.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. ც.-მა ყურადღების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ მოსამართლემ ნ. ტ.-ს არ გადაახდევინა საქმის წარმოებისთის საჭირო სახელწიფო ბაჟის თანხა. ნ. ტ.-ს უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟის თანხა, რადგან ის აღარ სარგებლობდა სოციალურად დაუცველის სტატუსით.

1.17 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის თავად მიმართავდა მოსამართლეს შუამდგომლობით მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, მაშინ, როდესაც შუამდგომლობის დაყენება წარმოადგენდა ადვოკატ მ. ც.-ს ვალდებულებას.

1.18 ნ. ტ.-მ №2/11–2014 საქმეში მტკიცებულებად წარადგინა დაბადების მოწმობა, რომლის მიხედვით ნ. ტ. დაბადებულია 1943 წლის 10 მარტს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ მ. ც.-ს წარუდგინა სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვით ნ. ტ. დაბადებულია 1941 წლის 01 მარტს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნ. ტ. ვერ დაიბადებოდა 1941 წლის 01 მარტს, რადგან მისი მეუღლე რ. ტ. დაბადებული იყო 1940 წლის 20 სექტემბერს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მას შემდეგ რაც ადვოკატ მ. ც.-ს უთხრა აღნიშნული ფაქტების შესახებ, ადვოკატმა განუცხადა, რომ ,,მასთან საქმე დაამთავრა". საჩივრის ავტორის განმარტებით, მან დამოუკიდებლად მიმართა ზესტაფონის რაიონულ პროკურატურას, რათა გამოეძიებინათ ნ. ტ.-ის დაბადების თარიღის გაყალბების ფაქტი.

1.19 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2014 წლის 27 მარტს ადვოკატ მ. ც.-ს დახმარებით სახლიდან გამოასახლა ნ. ტ.. საჩივრის ავტორის განცხადებით, მეორე დღეს ნ. ტ.-მ დამხმარე პირებთან ერთად გატეხა ეზოს ჭიშკარი, შეიჭრა ბინაში და თვითნებურად დაიკავა საცხოვრებელი სახლი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატმა მ. ც.-მა განაცხადა, რომ მას ვეღარ დაეხმარებოდა - მ. რ. ბინაში უნდა ყოფილიყო და ვერავინ შეძლებდა მის სახლში შესვლას.

1.20 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მ. ც.-მა შეგნებულად შეარჩია 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და უზენაეს სასამართლოში გააგზავნა ნ. ტ.-ის საქმე და ადმინისტრაციული საქმე №3/12–2014, სადაც მოსარჩელე იყო ვ. რ., მოპასუხე ე. ტ.. დავის საგანი სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ჩანაწერების გაუქმება იყო.

1.21 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2016 წლის 15 აგვისტოს ნ. ტ.-ის მიერ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრმა ბათილად ცნო მ. რ.-ს 2016 წლის 10 აგვისტოს ვ. რ.-სთან გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება. ეს ყოველივე მოხდა ადვოკატ მ. ც.-ს უყურადღებობის გამო.

1.22 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ც. მოქმედებდა ნ. და ე. ტ.-ების სასარგებლოდ, კერძოდ, ადვოკატმა ისარგებლა მ. რ.-ს ნდობით და შედეგად, ვ. რ.-ის საკუთრებიდან ე. ტ.-ს მიეკუთვნა მთლიანი ქონების ½ წილი.

1.23 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 16 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა საჩივარში მითითებული ფაქტები.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა მ. ც.-მა 2018 წლის 09 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით, მ. და ვ. რ.-ებს, წერილობითი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით, გაუწია იურიდიული დახმარება. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმის მსვლელობისას მან დააყენა შუამდგომლობები, წარადგინა მტკიცებულებები, ჩატარებული იყო ექსპერტიზები და კლიენტი დაიცვა კვალიფიციურად, მას არ განუხორციელებია ისეთი მოქმედება, რომელიც რ.-ების ოჯახს ზიანს მიაყენებდა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარია საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოეთხოვა მას კატეგორიულად ნ. და ე. ტ.-ებისთვის, რომ მათ აეხსნათ სასამართლოსთვის, თუ რატომ არ იდავა ნ. ტ.-მ ჯერ კიდევ მისი დის - კ. ტ.-ის სიცოცხლეში, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ იგი აფრთხილებდა დედა-შვილს, რომ არ გაეფორმებინათ ჩუქების ხელშეკრულება, რადგან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთი ტიპის ხელშეკრულებები ფორმალურ ხასიათს ატარებდა და როგორც მოჩვენებითი გარიგება დიდი ალბათობით გაბათილდებოდა. ადვოკატის განმარტებით, სასამართლოზე მ. რ.-მა აღიარა, რომ ვ. რ.-ისთვის ხელშეკრულებით გათვლისწინებული ქონების ღირებულება 12 000 დოლარი არ გადაუხდია.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არ ფლობდა ინფორმაციას საქმის წარმოების მსვლელობის შესახებ და მისთვის უცნობი იყო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის შესახებ, არ შეესაბამება სიმართლეს. ადვოკატის განცხადებით, მ. რ. ზოგჯერ მისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა: წერდა განცხადებებს, ითხოვდა დოკუმენტებს და ადვოკატ მ. ც.-სთან შეუთანხმებლად აწარმოებდა საქმეს იმის მიუხედავად, რომ ადვოკატს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა რ.-ების ოჯახთან.

2.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 26 ივლისს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ვ. რ.-ს მის მიმართ პრეტენზია არ აქვს. ვ. რ. ფლობდა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ქონება იყო მისი მამკვიდრებლის ოჯახის კომლის საკუთრება. ადვოკატის განმარტებით, მიწის რეფორმის დროს აღნიშნული ქონებიდან წილი მიღებული ჰქონდათ ნ. და ე. ტ.-ებს.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მის მიერ გაწეული კვალიფიციური მომსახურების შედეგად ვ. რ. მესაკუთრედ აღირიცხა საჯაროში რეესტრში.

2.7 ადვოკატის განმარტებით, იგი მ. რ.-ს იურიდიული დახმარებას უწევდა სისხლის სამართლის საქმეზე. მ. რ.-ს ბრალად ედებოდა დედამთილის საფლავზე განთავსებული ძეგლის შებილწვა. ადვოკატი განმარტავს, რომ საკუთარი მანქანით წააღებინა მ. რ.-ს ძეგლი აღსადგენად და მისი იურიდიული მომსახურების შედეგად საქმის წარმოება შეწყდა. ადვოკატის განცხადებით, მას სხვა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღია.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჯარო რეესტრში ვ. რ.-ის სახელზე რეგისტრირებული საკუთრების ჩანაწერის გაუქმების საფუძველი გახდა ჩუქების ხელშეკრულება, რის შედეგადაც ლ. ტ.-ს კომლის სხვა წევრებმა გაუნაწილეს ქონება. ადვოკატის განმარტებით, კომლი გაუქმებული იყო, რადგან ბოლო წევრი მილიციის სკოლაში იყო სასწავლებლად წასული.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი გახდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ვ. რ.-ის სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმება. სარეგისტრაციო ჩანაწერი გაუქმდა, რადგან ე. ტ.-ს დედის კ. ტ.-სგან ჰქონდა ქონების ½ წილზე სამკვიდროს მიღების უფლება, მ. და ვ. რ.-ებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და კომლი გაუქმებული იყო. ადვოკატის განმარტავს, რომ მისი შუამდგომლობის საფუძველზე შეჩერდა საქმის წარმოება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ადმინისტრაციული წესით, მხარეთა შორის სამოქალაქო დავის დასრულებამდე, ადვოკატი განმარტავს, რომ შუამდგომლობა უნდა დაეყენებინა, სასამართლოს ვერ დაუმალავდა, რომ სხვა დავა არსებობდა მხარეებს შორის. ადვოკატი განმარტავს, რომ მოცემული საკითხი ეხებოდა უშუალოდ ვ. რ.-ს, შესაბამისად, მას მინდობილობით ჰქონდა ასეთი ტიპის შუამდგომლობის დაყენების უფლებამოსილება და უშუალოდ ეს შუამდგომლობა ვ. რ.-ს შეუთანხმა თუ არა, ზუსტად არ ახსოვს. როდესაც ვ.-ს

მიაწოდა ანგარიში საქმესთან დაკავშირებით, მას საქმის წარმოების შეჩერების გამო პრეტენზია არ გამოუთქვამს.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული მინდობილობით ადვოკატი ა. პ.-ც იყო უფლებამოსილი სასამართლო პროცესებში მიეღო მონაწილეობა. ადვოკატის განცხადებით, ძირითადად იგი ესწრებოდა სხდომებს, ხოლო ადვოკატმა ა. პ.-მა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მიიღო მონაწილეობა, როდესაც მ. რ. გამოკითხვაზე დაიბარეს.

2.11 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დასრულებული იყო და გაუქმდა როგორც მ. და ვ. რ.-ებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლის მიხედვით მესაკუთრე ვ. რ. იყო. ადვოკატი განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით განცხადების დაწერა სთხოვა ადვოკატ ა. პ.-ს. ადვოკატის განცხადებით, სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის თანხა დაუბრუნა მ. რ.-ს, რასაც საქმეში მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ხელწერილი ადასტურებს.

2.12 ადვოკატის განმარტებით, მასსა და მ. რ.-ს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რადგან კლიენტმა ადვოკატს მომსახურების თანხის დაბრუნება სთხოვა, მან კი თანხის დაბრუნებაზე უარი განუცხადა, რადგან მას მომსახურება გაუწია არაერთ საქმეზე.

2.13 ადვოკატი განმარტავს, რომ მ. რ.-ს მცხეთის სასამართლოშიც ჰქონდა დავა, რომელიც წააგო. დედამისმა თანასაკუთრებაში არსებული ქონება გააჩუქა და როგორც მ. რ. აღნიშნავდა, ჩუქების ხელშეკრულება გაყალბებული იყო. ადვოკატი განმარტავს, რომ მისი არაერთი თხოვნის მიუხედავად მ. რ.-მა არ მიაწოდა დედანი საბუთები, რათა ექსპერტიზის მეშვეობით დადგენილიყო დოკუმენტების ავთენტურობა. მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესზე ყოველგვარი საბუთის გარეშე, ის კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე ამტკიცებდა, რომ ჩუქების ხელშეკრულება გაყალბებული იყო. ადვოკატი განმარტავს, რომ მ. რ. განაწყენდა, როდესაც მან უარი უთხრა ყოფილი ადვოკატის წინააღმდეგ ეთიკის კომისიაში წარმომადგენლობაზე.

## IV სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი მ. ც. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. რ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 26 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ც.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. ც.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი არ აძლევდა კვალიფიციურ იურიდიულ რჩევას, ადვოკატმა ის და მისი შვილი არ ამორიცხა სარჩელში მოპასუხეთა წრიდან, საჩივრის ავტორს მტკიცებულებების მოპოვება უწევდა თავად, ადვოკატი არ აყენებდა შუამდგომლობებს და ყურადღებას არ ამახვილებდა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე, კონკრეტულად: ადვოკატმა არ გაასაჩივრა ნ. ტ.-ისა და მისი შვილის, ბ. კ.-ის რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, ამის გამო ნ. ტ.-მ არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის თანხა; ადვოკატმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ნ. ტ.-მ №2/11–2014 საქმეში მტკიცებულებად წარადგინა დაბადების მოწმობა, რომლის მიხედვით ნ. ტ. დაბადებულია 1943 წლის 10 მარტს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ მ. ც.-ს წარუდგინა სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვით ნ. ტ. დაბადებულია 1941 წლის 01 მარტს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნ. ტ. ვერ დაიბადებოდა 1941 წლის 01 მარტს, რადგან მისი მეუღლე რ. ტ. დაბადებული იყო 1940 წლის 20 სექტემბერს; ადვოკატის უყურადღებობის გამო, რომ 2016 წლის 15 აგვისტოს ნ. ტ.-ის მიერ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრმა ბათილად ცნო მ. რ.-ს 2016 წლის 10 აგვისტოს ვ. რ.-სთან გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ც.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

5.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მ. რ. და ადვოკატი მ. ც. შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი მ. რ.-ს მომსახურებას გაუწევდა სამოქალაქო, ადმინისტაციულ და სისხლის სამართლის წარმოების კუთხით.

5.6 მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, ადვოკატ მ. ც.-ს მიერ განხორციელებულია შემდეგი მოქმედებები: მოსარჩელე ე. ტ.-მ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, დავის საგანს წარმოადგენდა ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება, ამ დავაში მოპასუხეს წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო მ. რ. და ვ. რ. ჩართულნი იყვნენ მესამე პირებად. მათ ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი მ. ც. (საქმე N3/84-2013). 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ე. ტ.-ის სარჩელი, ვ. რ.-ს საკუთრების ½ ნაწილში. კლიენტის, ვ. რ.-ს ინტერესიდან გამომდინარე ადვოკატმა მ. ც.-მა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ამ დავაში მ. რ. ჩართული იყო მესამე პირად (საქმე N3/ბ-172-2014). 2016 წლის 07 სექტემბრის განჩინებით დადგენილია, რომ მ. ც.-მა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება ზესტაფონის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული N3/12-2014 ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტამდე, რადგან ამ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა იმ აქტების ბათილად ცნობა, რომელთა საფუძველზეც გამოიტანა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ წარმოება შეაჩერა 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით და განაახლა ადმინისტრაციულ საქმეზე N3/12-2014 გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, 2016 წლის 13 ივლისს. 2016 წლის 31 აგვისტოს ვ. რ.-ს მეორე წარმომადგენლმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე და საქმეზე წარმოება შეწყდა. აღნიშნულ განჩინებაში იყო უსწორობა, რომლის გამოსასწორებლად ადვოკატმა მ. ც.-მა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება უსწორობის გასწორების შესახებ.

5.7 ნ. ტ.-მ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ვ. რ.-სა და მ. რ.-ს მიმართ. დავის საგანს წარმოადგენდა ზესტაფონში მდებარე უძრავ ქონებაზე ვ. რ.-ს საკუთერების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, ვ. რ.-სა და მ. რ.-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ზესტაფონში, მ. რ.-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/3 ნაწილში ნ. ტ.-ის მესაკუთრედ ცნობა (საქმე N2/XX-XXXX). ამ დავაშიც მ. და ვ. რ.-ების ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი მ. ც.. ვ. და მ. რ.-ებმა ამ დავაში შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართოს და მოითხოვეს ნ. ტ.-ის მიერ უკანონი ხელშეშლის აღკვეთა. სასამართლომ 2014 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი არ დააკმაყოფილა, ხოლო ნ. ტ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი N.....) ვ. რ.-ს საკუთრების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერი. ასევე ბათილად იქნა ცნობილი მ. რ.-სა და ვ. რ.-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ეს გადაწყვეტილება მ. ც.-ს მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

5.8 მ. ც.-მა 2015 წლის 28 იანვრის განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ პროკურატურას და მოითხოვა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს წარმოებაში არსებული მ. რ.-ს ქონების თვითნებურად დაუფლების ფაქტზე არსებულ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში

წარმართვას. 2015 წლის 02 თებერვლის N..... წერილით მას უპასუხეს, რომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ საქმეში საბოლოო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა აუცილებელ პირობას, სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად.

5.9 კოლეგიის შეფასებით, წარმოდგენილი საქმის მასალებით იკვეთება, რომ ადვოკატმა მ. ც.-მა, იმ პერიოდში, როდესაც ის წარმოადგენდა მ. და ვ. რ.-ბის ინტერესებს მონაწილეობა მიიღო კლიენტის ყველა დავაში, როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლებრივი კუთხით. ადვოკატის საქმეში ჩართულობა არ ყოფილა ფორმალური: ადვოკატის საადვოკატო მოქმედებები მიმართული იყო კლიენტის ინტერესის გასატარებლად, ადვოკატი ამზადებდა იურიდიულ დოკუმენტებს, აყენებდა შუამდგომლობებს, მისი ჩართულობა მ. და ვ. რ.-ების საქმეში არ ყოფილა ფორმალური, კლიენტებმა ადვოკატის საადვოკატო საქმიანობის შედეგად მიიღეს სამკვიდრო ქონება.

5.10 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატ მ. ც.-ს მიმართ არსებული პრეტენზიების ნაწილი სცდება საადვოკატო უფლებამოსილებას და უკავშირდება სამოსამართლეო საქმიანობას. კერძოდ: ადვოკატ მ. ც.-ს კატეგორიულად უნდა მოეთხოვა ე. და ნ. ტ.-ებისთვის, თუ რატომ არ იდავეს აწ გარდაცვლილმა კ. ტ.-მ და მისმა დამ ნ. ტ.-მ მიწის მიღება–ჩაბარების აქტი №...–ით 4434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თაობაზე, რომელზეც რ.-ების ოჯახს პრეტენზია არ გააჩნდა; ადვოკატი მ. ც. უნდა დაინტერესებულიყო იმ ფაქტით, თუ რატომ არ წარადგინა ე. ტ.-მ ეს აქტი საჯარო რეესტრის სააგენტოში, მაშინ როდესაც სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და მას თხოვდნენ წარედგინა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი, ადვოკატს ეს გარემოება უნდა გაეპროტესტებინა; ადვოკატმა ის და მისი შვილი არ ამორიცხა სარჩელში მოპასუხეთა წრიდან. კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მისამართით გაჟღერებული ეს პრეტენზიები წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც ადვოკატზე დამოკიდებული არაა. მტკიცებულებების საქმეში დაშვებაზე გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე. მ. და ვ. რ.-ები საქმეში მესამე პირებად ჩართო სასამართლომ, რადგან მოსამართლემ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის განხილვა უკავშირდებოდა მათ ინტერესს.

5.11 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატს უნდა გაესაჩივრებინა ლ. ტ.-სა და კ. ტ.-ს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება, რადგან მასში არ არის მითითებული მონაცემები მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ნოტარიუსის დაბარებით სასამართლოზე უნდა გარკვეულიყო, რატომ არ აჩუქა ლ. ტ.-მ შვილს 4434 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; - ცდება ეთიკის კომისიის შემოწმების ფარგლებს, რადგან კომისია ვერ ჩაანაცვლებს სასამართლოს და ვერ გამოიტანს დასკვნას, რა შედეგი ექნებოდა ასეთ გასაჩივრებას. ასევე, არ წარმოუდგენია საჩივრის ავტორს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მოთხოვნას და შესაბამის შეთანხმებას ადვოკატთან ამ საქმის წარმოებაზე.

5.12 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ მ. ც.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

**III სარეზოლუციო ნაწილი**

1. დისციპლინურ საქმეზე N080/18 ადვოკატ მ. ც.-ს მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/